საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY
OF EDUCATION, CULTURE AND SPORT

MES 9 23 0001217477

22/09/2023

ნაზიბროლა რეხვიაშვილს
პ/ნ 62011003485

ელ.ფოსტა: editorrekhviashvili@gmail.com

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, 2023 წლის 15 სექტემბერს შემოვიდა თქვენი №1163861 განცხადება, რომლითაც ითხოვთ საჯარო ინფორმაციას.

გაცნობებთ, რომ ამ დროისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 9 საჯარო სკოლის შენობაში ვერ განახლდა სასწავლო პროცესი, მიმდინარე ინფრასტრქუტურული და სხვა ობიექტური გარემოებების გამო, სასწავლო პროცესი კი მიმდინარეობს ტერიტორიულად ახლომდებარე საჯარო სკოლებში. კერძოდ:

ბათუმის მუნიციპალიტეტი:

1. სსიპ - ქალაქ ბათუმის № 16 საჯარო სკოლა - მოსწავლეთა რაოდენობა: 878 მოსწავლე, გადაყვანილია სსიპ - ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლაში 2021 წლის 01 ოქტომბრიდან, მშენებლობის დასრულებამდე, ტრანსპორტირების დღიური ხარჯი - 1827,07 ლარი. სსიპ - ქალაქ ბათუმის №16 საჯარო სკოლის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა - NAT220017455;
2. სსიპ - ქალაქ ბათუმის № 31 საჯარო სკოლა - მოსწავლეთა რაოდენობა: 110 მოსწავლე, გადაყვანილია სსიპ - ქალაქ ბათუმის №25 საჯარო სკოლაში 2023 წლის 15 სექტემბრიდან, მშენებლობის დასრულებამდე, ტრანსპორტირების დღიური ხარჯი - 292,31 ლარი. მიდმინარეობს სსიპ - ქალაქ ბათუმის № 31 საჯარო სკოლის მშენებლობის პროექტის შეთანხმება, რომლის შემდეგაც გამოცხადდება ელექტრონული ტენდერი.
3. სსიპ - ქალაქ ბათუმის № 7 საჯარო სკოლა - მოსწავლეთა რაოდენობა: 1435 მოსწავლე, გადაყვანილია ქალაქ ბათუმში აღმაშენებლის ქუჩაზე N13-ში 2023 წლის 15 სექტემბრიდან, რეაბილიტაციის დასრულებამდე. ტრანსპორტირება არ ხორციელდება მცირე მანძილის გამო. მიდმინარეობს სსიპ - ქალაქ ბათუმის № 7 საჯარო სკოლის გამაგრება-რეაბილიტაციის პროექტის მომზადება, რომლის შემდეგაც გამოცხადდება ელექტრონული ტენდერი სამუშაოების შესყიდვაზე.

ხულოს მუნიციპალიტეტი:

1. სსიპ - რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა - მოსწავლეთა რაოდენობა: 135 მოსწავლე, გადაყვანილია სსიპ - დაბა ხულოს საჯარო სკოლაში 2022 წლის 15 სექტემბრიდან, მშენებლობის დასრულებამდე, ტრანსპორტირების დღიური ხარჯი - 704,95 ლარი. სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა - NAT220009897;
2. სსიპ - ასლან შაინიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანის საჯარო სკოლა - მოსწავლეთა რაოდენობა: 130 მოსწავლე, გადაყვანილია სოფელ ყიშლის საჯარო სკოლაში 2022 წლის 04 აპრილიდან, ახალი სკოლის მშენებლობის დასრულებამდე. ტრანსპორტირების დღიური ხარჯი - 861,23 ლარი. ხულოს მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად მიმდინარეობს მშენებლობისთვის ვარგისი ალტერნატიული ტერიტორიის მოძიება ახალი სკოლის მშენებლობის მიზნით, რადგან არსებული სკოლის შენობის მიმდებარედ განვითარდა მეწყრული პროცესი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი:

1. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარის საჯარო სკოლა - მოსწავლეთა რაოდენობა: 89 მოსწავლე, გადაყვანილია სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის № 1 საჯარო სკოლაში 2023 წლის 15 იანვრიდან, სკოლის რეაბილიტაციის დასრულებამდე. ტრანსპორტირების დღიური ხარჯი - 187,92 ლარი. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბუკნარის საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - NAT 220024771;
2. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სამების საჯარო სკოლა - მოსწავლეთა რაოდენობა: 106 მოსწავლე, გადაყვანილია სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქობულეთის საჯარო სკოლაში 2022 წლის 17 ოქტომრიდან, სკოლის ტერიტორიაზე მეწყრული პროცესების შემცირებისთვის გამაგრებითი სამუშაოების დასრულებამდე. ტრანსპორტირების დღიური ხარჯი - 434,16 ლარი. ფერდსამაგრ სამუშაოებს აწარმოებს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
3. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლა - მოსწავლეთა რაოდენობა: 126 მოსწავლე, გადაყვანილია სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების საჯარო სკოლაში 2020 წლის 15 სექტემბრიდან, სკოლის მშენებლობის დასრულებამდე, ტრანსპორტირების დღიური ხარჯი - 561,82 ლარი. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა - NAT220001251;
4. სსიპ - კონდიდის საჯარო სკოლა - მოსწავლეთა რაოდენობა: 42 მოსწავლე, გადაყვანილია სოფელ გვარას საჯარო სკოლაში 2022 წლის 04 აპრილიდან, ახალი სკოლის მშენებლობის დასრულებამდე, ტრანსპორტირების დღიური ხარჯი - 210,48 ლარი. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად მიმდინარეობს მშენებლობისთვის ვარგისი ალტერნატიული ტერიტორიის მოძიება ახალი სკოლის მშენებლობის მიზნით, რადგან არსებული სკოლის შენობის მიმდებარედ განვითარდა მეწყრული პროცესი.

მოსწავლეთა ტრანსპორტირების ფინანსურ უზრუნველყოფას სამინისტრო ახდენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

პატივისცემით,

ჯემალ სურმანიძე
მინისტრის პირველი მოადგილე